შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში
საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

OFFICE OF THE STATE MINISTER OF GEORGIA
FOR RECONCILIATION AND CIVIC EQUALITY

N 1460
29/06/2018

1460-1-2-201806291636

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილეს
ბატონ ზაზა ბოხუას

ბატონო ზაზა,

როგორც მოგეხსენებათ, „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის“ და შესაბამისი სამოქმედო გეგმის ფარგლებში, სახელმწიფო მინისტრის აპარატის კოორდინირებითა და თქვენი უწყების ჩართულობით, მიმდინარე წლის 11-22 ივნისს ქვემო ქართლის რეგიონში გაიმართა საინფორმაციო კამპანია სახელმწიფო პროგრამებისა და სერვისების შესახებ.

გაცნობებთ, რომ ა.წ **3 ივლისს 13:00 საათზე,** შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ქ-ნი ქეთევან ციხელაშვილი საინფორმაციო კამპანიას გახსნის ამჯერად კახეთის რეგიონში, პანკისის ხეობის სოფელ ჯოყოლოში (საჯარო სკოლის შენობა). შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლები მინისტრის მოადგილეების დონეზე, სადაც განიხილება კახეთის რეგიონში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიმართულებით არსებული პრობლემატიკა. პანკისის ხეობაში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებს, მედიასა და მოსახლეობას მიეწოდება ინფორმაცია საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში განსახილველი თემატიკის შესახებ.

გთხოვთ, მიიღოთ მონაწილეობა.

პატივისცემით,

ლაშა დარსალია

სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე

ხელმძღვანელობა

0134 თბილისი, ინგოროყვას ქ. 7 0134 Tbilisi, Ingorokva str. 7 ტელ./Tel.: (995 32) 292 18 91, ფაქსი/Fax: 292 16 50